ხელშეკრულება №8-4

ქ. თბილისი 20 იანვარი 2011 წელი

ერთი მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“** (შემდგომში *„შემსყიდველი“*), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურია და

მეორეს მხრივ, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ორიენტ ლოჯიკი“**, (შემდგომში *„მიმწოდებელი“*), წარმოდგენილი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერის ქსელის ჰაბის (შემდგომში „შესყიდვის ობიექტები“) შესყიდვა.

1.2. 1.1. პუნქტით გათვალიწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და განფასება:

1.3.

№	შესყიდვის ობიექტების აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	საერთო ფასი (ლარებში)
1	კომპიუტერის ქსელის ჰაბი (კომუტატორი) D-LINK DES-1024DE, 24 პორტიანი	2 ც	140.00 ლარი	280.00 ლარი

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. *შემსყიდველს* ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტები, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. შესყიდვის ობიექტების შემოწმების ადგილია *შემსყიდველის* იურიდიული მისამართი.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „საზოგადოებირივი მაუწყებლის“ ინფრომაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ნუგზარ ქელბაქიანი.

2.3. *მიმწოდებელი* ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წენდებული შესყიდვის ობიექტების შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ასევე ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ გაცნობილნი არიან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს და მათი მონაწილეობა შესყიდვის განხორციელების პროცესში არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. *მიმწოდებელმა* შესყიდვის ობიექტების *შემსყიდველისათვის* მიწოდება უნდა განახორციელოს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 4 (ოთხი) დღის განმავლობაში.

3.2. შესყიდვის ობიექტები ან მათი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტების მიწოდების საბოლოო შემოწმების ადგილია *შემსყიდველის* იურიდიული მისამართი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 280 (ორას ოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.3. ანგარიშსწორება ხორციელდება *მიმწოდებლის* მიერ შესყიდვის ობიექტების მიწოდებიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. *შემსყიდველი* კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დროულად და სრულად მოახდინოს *მიმწოდებელთან* ანგარიშსწორება.

5.2. *მიმწოდებელი* კისრულობს ვალდებულებას:

5.2.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს *შემსყიდველს* წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტები;

5.2.2. შესყიდვის ობიექტების ნაკლის აღმოჩენისას მოახდინოს ნაკლის გამოსწორება თავისი ხარჯით.

5.2.3. უსრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დროულად და სრულად შესრულება.

მუხლი 6. გარანტია

6.1. *მიმწოდებელი* კისრულობს ვალდებულებას გადასცეს *შემსყიდველს* უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტები. შესყიდვის ობიექტების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ტიპის საქონელზე მოქმედ სახელმწიფო ან საერთაშორისო სტანდარტებს.

6.2. *მიმწოდებელი* იძლევა იმის გარანტიას, რომ მის მიერ გადაცემული საქონელი იქნება შესაბამისი ტექნიკურ მოთხოვნებთან და შესაფერისი იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც ის არის გათვალისწინებული და იმუშავებს სრულიად გამართულად.

6.3. თუ საქონლის მიღებისას გამომჟღავნდება საქარხნო დეფექტი, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შეცვალოს დეფექტური საქონელი ახლით 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. გარანტიის მოქმედების პერიოდში (ერთი წელი) წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში შემსყიდველი წერილობითი ფორმით (მ.შ ელექტრონული ფორმით) აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ მიმწოდებელს. წერილის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა მიმწოდებელი ახდენს რეაგირებას. შესყიდვის ობიექტის სერვის-ცენტრში მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ადგენს დეფექტურ აქტს, რომელიც შეიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. მომსახურება განხორციელდება საშუალოდ 1(ერთი) – 2(ორი) კვირის ვადაში, თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში). წინააღმდეგ შემთხვევაში 3(სამი) – 4 (ოთხი) კვირის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. *მიმწოდებლის* მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, *შემსყიდველი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

7.2. *შემსყიდველის* მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, *მიმწოდებელი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 3 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული

შემსყიდველისა და/ან *მიმწოდებლის* შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება მეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	შპს „ორიენტ ლოჯიკი“
მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	მის.: ქ. თბილისი, დიღომი, ბელიაშვილის №8; მიონის შენობა საიდენტიფიკაციო კოდი: 202 052 054
საბანკო რეკვიზიტები: სს „კორ-სტანდარტ ბანკი“ ანგ. #GE77KS0000000004169364 კოდი: AGREGE22	საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი“ ცენტრალური ფილიალი კოდი: 220 101 922 ა/ა 410 146 7822
გენერალური დირექტორი ..... გიორგი ბასტურია	დირექტორი ..... ვაჟა ნასყიდაშვილი